# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 12 მაისი 2008 №106 (3330) ფასი 50 თეთრი

## ამ კვირის თასები: ერთი დინამომ ჩაიბარა, მეორესთვის ამერი და ზესტაფონი იბრძვიან

## დილამ კარი გასახდელში მიიჯახუნა

## ბათუმური გედის სიმღერა: 19 წლისა შევსრულდი, ოცი არ გადამეხადა

„დინამომ“ საქართველოს ჩემპიონობა მეცამეტედ წინა ტურში, ზესტაფონში მოიპოვა, თუმცაღა თასი გუშინ „ეროვნულზე“ ჩაიბარა, 11-გოლიანი თვალსასეირო მატჩის მერე. „დინამოს“ ჩემპიონობა აქამდეც ვიცოდით, აი, „ვიტ ჯორჯიას“ მეორეობა და შესაბამისად, უეფას თასზე გასვლა, გუშინ გადაწყდა. ჩემპიონატში ერთ ხანს ლიდერად მყოფმა „ზესტაფონმა“ ბათუმში ფრე და ოდენ მესამეობა იკმარა. ახლა კი, საევროთასოდ, საქართველოს თასის მოგება სჭირდება. ფინალი, შეგახსენებთ, პარასკევსაა. თასი, რა თქმა უნდა, „ამერსაც“ უნდა, რომელმაც, იმავ „ზესტაფონის“ დარად, ამ ტურში ენერგიისა და რესურსების საფინალოდ შემონახვაზე იფიქრა. უმაღლეს ლიგას კი „ბათუმი“ და „მერანი“ დაემშვიდობნენ. ეს მოსალოდნელიც იყო, უფრო სწორად კი — დროის ამბავი. არადა, როგორი გულდასაწყვეტია: „ბათუმი“ ხომ პირველი ეროვნული ჩემპიონატიდან მოყოლებული, მთელი 19 სეზონი, უმაღლესი ლიგის მუდმივი ბინადარი იყო... რამდენიმე ტურის წინ გავარდნილმა „დილამ“ კი კარი უცნაურად გაიჯახუნა. გორელებმა პირველი ტაიმი ითამაშეს და შესვენების მერე გასახდელიდან აღარც გამოსულან. არანაირი ოფიციალური კომენტარი არ გაკეთებულა! არაოფიციალურად კი ითქვა, გუნდში, რა ხანია, ხელფასები არ დარიგებულაო... ბოლო ტურში გასარკვევი ისღა დარჩა, პლეი ოფში „ლოკომოტივი“ ითამაშებს თუ „სპარტაკი“. ოღონდ იქამდე, როგორც ვთქვით, თასის ფინალია.



გიო ახვლედიანის




# ომერტა

მგონი, ჩვენი პრობლემა ის არის, რომ სახლში ბევრს ვლაპარაკობთ, გარეთ კი არაფერს. უფრო სწორად, სახლში ერთს ვამბობთ, გარეთ მეორეს და ეს მეორე, შეიძლება ითქვას, არაფერია იმასთან, რასაც სახლში ვლაპარაკობთ.

კაცი შეგხვდება და ათას ამბავს მოგიყვება ჩვენი ფეხბურთის შესახებ. თანაც, ისეთ ამბავს, რომ თმა, თუ ჯერ კიდევ გაქვს იმდენი, რომ ყალყზე დაგიდგეს, ყალყზე დაგიდგება. იმასაც დაუმატებს, ვიტყოდი რაღაცებს სახალხოდ, მაგრამ მტკიცებულებები არ მაქვს და რა ვქნაო.

ეს ოხერი მტკიცებულებები, როცა ძალიან გვჭირდება, სწორედ მაშინ არ არის.

„მარსელის" ამბავი რომ მოსდო ქვეყანას, რა გვარი იყო ის ბიჭი? მგონი, ედელი. იტალიელი პროკურორები კი ისე მუშაობენ, ედელი არ სჭირდებათ. რა თქმა უნდა, ქართული ფეხბურთი იმხელა არ არის, რომ იტალიურს შეედაროს და რახან პატარაა, ალბათ, ასე ჰგონიათ, რომ მას დიდი ხმაურები არ სჭირდება.

არადა, სულ ხმაურია, ერთი სიწყნარე არ მახსოვს ამდენი წელიწადია.

მართალს გარეთ არავინ ამბობს, შიგნით ყველამ ყველაფერი იცის.

თუ თამაში შეთანხმებულია, თან უტყუვად შეთანხმებული, რას უზამ? ჩაწყობილი გასაგებია, მაგრამ შეთანხმებულს რას უზამ? იმ ჩაწყობილსაც ბევრს ვერაფერს დააკლებ როგორც ირკვევა, მაგრამ შეთანხმებულს, იცოცხლე.

ომერტა, ეგეთი მაფიოზური სიტყვაა, დუმილს ნიშნავს, ჩვენებურად რომ ვთქვათ, პაკაზანიის არმიცემას.

რას არ გაიგებ კაცი. ოქროსავით პრეზიდენტი რომ გყავდეს, მტკიცე, მკაცრი და წესიერი, ამ საქმეს მაინც ვერაფერს მოუხერხებ. ასეთი სქემა მითხრეს: ფეხბურთელებს თვითონ შეუძლიათ ჩააწყონ თამაში, ყველას ზურგსუკანო. თვითონვე აკრებენ ფულს და მიუტანენ სხვა გუნდს, რომელიც ამათ დაუწვებაო. ისინი წაგებაში იღებენ ფულს, ესენი კი მოგებაში კლუბისგან პრემიას და ორივე ასე, ოფლისმოუღენლად კმაყოფილიაო. მიდი ახლა და ამტკიცე, რომ ასეთი რამეები მომხდარა, ვინმე ამტკიცებს? ვერავინ. სქემები კი მრავალგვარია, ბიზნესურად გამართული, სპორტულად ფუტურო. თუ ოფლი და გასიებული ფეხი არ გინდა, ფეხბურთს რატომ თამაშობ? საინტერესო ეს არის. ხოლო თუ ჩაწყობაში უფროსობაც გაერევა, იმ ამბის სქემა ალბათ უფრო იოლი იქნება.

მოვა კაცი და მოგიყვება. ზოგჯერ კაცზე ხუთი თუმანია საკმარისი, თამაში რომ მოგცენო. შენ რა უნდა ქნა? რომც დაგისახელონ კონკრეტული თამაშები, რა გამოვა? აგერ, მთლად გაზეთებში ეწერა, ამა და ამ თამაშების ამბებს ვიძიებთო. ვინ რა გამოიძია, ან ვინ შეშინდა ამით?

იმიტომ, რომ ომერტა.

ჰოდა, როცა ომერტა, მაშინ ფეხბურთი, ბოლიში და, ვერა. ვერაფრით. ასეა მთელ მსოფლიოში, სადაც მართლა ფეხბურთია, ხოლო სადაც ფეხბურთი რაღაცისთვისაა, იქ, ბოდიში და, ომერტა. იყოს ეს ომერტა. ეგებ ვილაცამ მისი შემოვლითაც მოახერხოს რამე. ასეც ხდება ხოლმე. უბრალოდ, ასეთ დროს ძნელი გასაგებია, ის ბიჭები ვის ბალელშჩიკობენ მეგაფონებით. ალბათ, საკუთარ ცხოვრებას.







ვაჟიკო კიკილაშვილის ფოტოები

# ცაავა პრეზიდენტია!

## დელეგატებმა კეტაშვილის ვერაფერი გაიგეს

**შაბათს** ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდა.

პრეზიდენტობის მსურველი ორი იყო — გრიგოლ ცაავა და გელა კეტაშვილი.

ხმის მიცემის უფლება 27 სუბიექტს ჰქონდა — ჯერ დელეგატებმა რეგისტრაცია გაიარეს და 11.10 საათზე არჩევნებიც დაიწყო.

კენჭისყრას, რა თქმა უნდა, ჟურნალისტები არ დაგვასწრეს.

პერიპეტიები კი ასე განვითარდა: ოც წუთში დარბაზიდან ტაშის ხმა გაისმა, რამდენიმე წუთში კი იქიდან კეტაშვილი გამოვიდა. ოლიმპიური ჩემპიონი თავიდან კომენტარისგან თავს იკავებდა, თუმცა შემდეგ ორი სიტყვით თქვა...

„მოვხსენი კანდიდატურა, ასეთ დადგმულ შოუში მონაწილეობას არ მივიღებ. დელეგატებზე მიმდინარეობდა ზეწოლა, მათ ემუქრებოდნენ, რომ დაატოვებინებდნენ სამსახურს და მე არ მინდა ამის გამო ჩემს მეგობრებს პრობლემები შეექმნათ. ქართულ ფეხბურთში მდგომარეობის გამოსასწორებლად სისხლის ბოლო წვეთამდე ვიბრძოლებ" — თქვა კეტაშვილმა და იქაურობას გაეცალა.

მალევე დარბაზიდან ხმა გამოვიდა, რომ 27 დელეგატიდან 25-მა მხარი ცაავას დაუჭირა, ერთი ხმა ერგო კეტაშვილს, ერთმა კი თავი შეიკავაო.

სინამდვილე კი ასეთი გამოდგა: 26 ხმა ცაავას, ერთმა დელეგატმა თავი შეიკავა, კეტაშვილი კი უხმოდ დარჩა.

ცაავა აირჩიეს, რის შემდეგაც ახალი პრეზიდენტის ხელში თბილისის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის პირველი სხდომა ჩატარდა, რომელზეც ახალი წევრებიც დაამტკიცეს.

სანამ აღმასკომი დასრულდებოდა, ეროვნული ნაკრების ბაზაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი მოვიდა...

„გრიგოლ ცაავა ღირსეული ადამიანია და ვულოცავ თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობას. ბედნიერი ვარ, რომ ჩვენმა კანდიდატმა გაიმარჯვა. დარწმუნებული ვარ, ცაავა თბილისის და ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის ყველაფერს გააკეთებს. რაც შეეხება გელა კეტაშვილის განცხადებას, ეს აბსურდია და გულსატკენია, ასეთ განცხადებას რომ აკეთებს. როგორც ფეხბურთელს, დიდ პატივს ვცემდი, იგი მამაჩემის მოსწავლე იყო და მთელი ბავშვობა მისი ქომაგი ვიყავი... უკეთესი იქნებოდა, ღირსეულად შეგუებოდა მარცხს და მიელოცა გრიგოლ ცაავასთვის".

მალე აღმასკომის სხდომაც დასრულდა და ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა გრიგოლ ცაავამ პირველი განცხადებაც გააკეთა: „ძალიან ბედნიერი ვარ. ყველას მადლობა მინდა ვუთხრა. ჩემთვის თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა დიდი პასუხისმგებლობაა, გელა კეტაშვილს თავისი აზრი აქვს, ეს გადაწყვეტილება მიიღო... მე მას წარმატებებს ვუსურვებ".

მოგვიანებით კეტაშვილის განცხადების თაობაზე თითქმის ყველა დელეგატს ვკითხეთ და მათი პასუხი ცალსახა იყო — არავითარი ზეწოლა, არჩევანი ჩვენ თვითონ გავაკეთეთო...

**ნუკრი ლოლაძე**

# ივანიშვილი ციურიხში დააწინაურეს

**საქმე** იქით მიდის, რომ კახა კალაძეს მომავალ სეზონში უეფას თასზე ვიხილავთ. „მილანმა" სერია A-ს ბოლოსწინა ტურში „ნაპოლისთან" 1:3 წააგო...

კალაძემ სრულად ითამაშა.

გერმანულ ბუნდესლიგაში „შალკემ" 1:0 სძლია „აინტრახტს". ლევან კობიაშვილმა ბოლო 6 წუთი ითამაშა.

ალექსანდრე იაშვილმა შეუცვლელად იბურთავა „კარლსრუეში" („ბოხუმთან" 1:3).

მეორე ბუნდესლიგაში ქართველთაგან მხოლოდ ილია კანდელაკმა ითამაშა, მისი „კარლ ცაისი" 2:2-ზე გაეყარა „კაიზერსლაუტერნს".

ილია შემტევი ნახევარმცველი გახლდათ.

კვლავ იყოჩაღა ჯაბა დვალმა, ვინაც დუბლი შეასრულა „ოლიმპიასთან". ჯაბას და ლევან კორღალიძის „დაჩიამ" 3:1 მოიგო.

უკრაინაში ქართველებს არაფერი გაუკეთებიათ. რუსეთში კი დავით მუჯირი, როგორც იქნა, გამოჩნდა „ლოკომოტივში" — 6 წუთი ითამაშა და მისიანებმა 2:0 სძლიეს „ტომს".

„ნალჩიკმა" 2:0 მოუგო ლიდერ „რუბინს", დავით სირაძემ კი მატჩის მიწურულს თავისივე მონადირებული პენალტი გააცუდა. ნალჩიკელთა მწვრთნელმა იური კრასნოჟანმა თქვა, წესით, ალეკო ამისულაშვილს უნდა დაერტყა პენალტი და რატომ გადაწყვიტეს ასე, ჩემთვის უცნობიაო. სირაძემ 13 წუთი ითამაშა, ამისულაშვილმა შეუცვლელად, გოგიტა გოგუა კი დისკვალიფიცირებული იყო. რუბინელი ქართველებიდან მხოლოდ დავით კვირკველიამ ითამაშა (74 წუთი).

და კიდევ, შვეიცარიაში „თუნ" — „ციურიხის" მატჩისას ორივე გუნდის სკამზე ქართველები ისხდნენ. თუნელი სანდრო იაშვილი არ გაგვკვირვებია, გიორგი ივანიშვილი კი... სასიხარულოა, რომ მას დუბლებში კარგი თამაში დაუფასდა და ძირითადში გადაიყვანეს.

**ილია ნანობაშვილი**

# საფინალო ბილეთები

**საქართველოს** დავით ყიფიანის სახელობის თასის „ყაზბეგის" გათამაშების ფინალზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა 15 მაისს დაიწყება.

პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრესსამსახურის ცნობით, გულშემატკივრებს ბილეთების შეძენა ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ხუთ სალაროში შეეძლებათ, ბილეთის ფასი კი 3 ლარი იქნება.

ხუთი სალაროდან ორში, ბილეთები მხოლოდ „ამერისა" და „ზესტაფონის" გულშემატკივრებისთვის გაიყიდება. შესაბამისად, ბილეთები შემდეგნაირად დაიყოფა — აღმოსავლეთ ტრიბუნაზე „ზესტაფონის" ფანები დასხდებიან, ხოლო დასავლეთზე „ამერის".

ხუთივე სალაროში ბილეთებთან ერთად გაიცემა წამახალისებელი ლატარიის გათამაშების ბილეთებიც.

ფინალური შეხვედრა კი 16 მაისს „ეროვნულზე" 20 საათზე დაიწყება.

შეგახსენებთ: საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასისთვის გადამწყვეტ ბრძოლაში ერთმანეთს, უკვე ზედიზედ მესამედ, შეხვდებიან თბილისის „ამერი" და „ზესტაფონი".

**ბაჩა შალამბერიძე**

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

## პირველი ლიგა — 26 ტური

### აღმოსავლეთი

**ნ.დინ-მერანი 2 1:1 ვიტ ჯორჯია 2**
**მეშაძრე 1:0 კახეთი**
**გაგრა 4:0 ჩიხურა**
**ამერი 2 2:3 დინამო 2**
**ოლიმპი 2 2:1 ოლიმპიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა | 26 | 15 | 6 | 5 | 56:36 | 51 |
| მეშაქრე | 26 | 13 | 9 | 4 | 34:20 | 48 |
| დინამო 2 | 26 | 13 | 7 | 6 | 36:22 | 46 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 26 | 13 | 6 | 7 | 39:21 | 45 |
| ჩიხურა | 26 | 11 | 7 | 8 | 38:37 | 40 |
| ოლიმპი 2 | 26 | 9 | 8 | 9 | 33:36 | 35 |
| კახეთი | 26 | 10 | 4 | 12 | 38:38 | 34 |
| ამერი 2 | 26 | 9 | 2 | 15 | 42:42 | 29 |
| ოლიმპიკი | 26 | 6 | 4 | 16 | 35:52 | 22 |
| ნ.დინ-მერანი 2 | 26 | 1 | 7 | 18 | 20:67 | 10 |

### დასავლეთი

**ხობი 0:2 მაღაროელი**
**მეშახტე 1:0 ზესტაფონი 2**
**ტორპედო 1:0 უნივერსიტეტი**
**მერანი (მ) 4:0 სამტრედია**
**ფაზისი 0:3 კოლხეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი | 26 | 20 | 4 | 2 | 51:17 | 64 |
| მეშახტე | 26 | 14 | 2 | 10 | 39:36 | 44 |
| მერანი (მ) | 26 | 13 | 5 | 8 | 36:22 | 44 |
| ზესტაფონი 2 | 26 | 12 | 4 | 10 | 39:25 | 40 |
| ხობი | 26 | 10 | 7 | 9 | 35:27 | 37 |
| კოლხეთი | 26 | 10 | 7 | 9 | 33:33 | 37 |
| ტორპედო | 26 | 10 | 6 | 10 | 34:31 | 36 |
| სამტრედია | 26 | 9 | 4 | 13 | 35:50 | 31 |
| უნივერსიტეტი | 26 | 8 | 3 | 15 | 21:29 | 27 |
| ფაზისი | 26 | 2 | 2 | 22 | 17:70 | 8 |

„ფაზისი" მოხსნილია გათამაშებიდან

## საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა · II წრე. 25 ტური

# გოლები? რამდენიც გინდა!
## დინამომ ხუთი გაუშვა, მაგრამ... ჩემპიონს თასი ჩაბარდა!



თბილისი. 11 მაისი. 17 საათი. ეროვნული. 1 000 მაყურებელი

**დინამო 6:5 ლოკომოტივი**

1:0, 2:0 ვაწაძე (11, 15), 3:0 აკირემი (18), 4:0 ხუციშვილი (22), 4:1 სამხარაძე (26), 4:2 დარასელია (34), 5:2 ხუციშვილი (38), 5:3 ალექსიძე (45), 6:3 ხმალაძე (76), 6:4 ალექსიძე (86), 6:5 სამხარაძე (88)

| | |
|---|---|
| **დინამო:** ოვონო, შ. კაშია (გ. კაშია 78), ზელიჩი, კრშკო, გველესიანი, დილმელაშვილი, ხუციშვილი, ხმალაძე (ფირცხალავა 87), ოდიკაძე, ვაწაძე (ქანთარია 45), აკირემი *სათადარიგონი:* ლორია; თომაშვილი, დობეში, ნერგაძე **მწვრთნელი:** დუშან უჰრინი | **ლოკომოტივი:** მ. ალავიძე, დ. ფოფხაძე, გუშარაშვილი, გ. კვახაძე, ქუხილავა (გილაური 76), ზ. ჩხეტიანი, წულაძე (ჩაგელიშვილი 66), ცქიტიშვილი, ი. სამხარაძე, ვ. დარასელია, ალექსიძე *სათადარიგონი:* მიგინეიშვილი; ბარბაქაძე, კაჭახიძე, ქუცურუა **მწვრთნელი:** გიორგი კიკნაძე |

**გაფრთხილება:** ალავიძე (17), ალექსიძე (33), ოვონო (35), ვაწაძე (39), ხმალაძე (62), გუშარაშვილი (69), ზელიჩი (90)

**გაძევება:** სამხარაძე (89)

**მსაჯები:** ა. ნონიკაშვილი; შ. ქუხილავა, ზ. ბერულავა; ლ. ფანიაშვილი

**დამკვირვებელი:** ე. სილაგავა; **დელეგატი:** შ. ბაქრაძე;

**კობა ინასარიძე**

**მოგეხსენებათ,** თბილისის „დინამოს“ ამ შეხვედრამდეც ჰქონდა ჩემპიონობა განაღდებული და თანაქალაქელ „ლოკომოტივთან“ ყოველგვარი ფსიქოლოგიური ტვირთის გარეშე ითამაშა, ხოლო როგორ ითამაშა, ოქმს დახედავთ თუ არა, წარმოდგენა არ გაგიჭირდებათ.

მაინცდამაინც არც „ლოკომოტივი“ ნერვიულობდა. გიორგი კიკნაძის გუნდს, სასწაული უნდა მოხდეს გადათამაშებაში თამაშმა მოუწიოს და, ალბათ, ამიტომაც იყო, ჩემპიონებს რკინიგზელებმაც რომ ბლომად გოლებით უპასუხეს, თუმცა საბოლოო ჯამში ერთი მაინც დააკლდათ.

6:5 — ეს ანგარიში საქართველოში კი არა, სადაც ბურთი დაგორავს, ყველგან იშვიათობა. დიდი ანგარიშით მოგება-წაგებაზე მეტი რა გვიხანავს, მაგრამ აბა, დაფიქრდით, გახსენდებათ ისეთი მატჩი, აქეთ-იქით გოლები ასე პანტა-პუნტით გასულიყო?! „დინამო“ — „ლოკომოტივის“ შეხვედრის ანგარიშიც სწორედ ასეთი იშვიათობა გამოვიდა. ამგვარი უხვგოლიანი მატჩები კი როგორც წესი არც უხეშობით გამოირჩევა, გუნდები ლამაზ, კომბინაციურ და ქომაგის თვალისთვის მოსაწონ ფეხბურთსაც თამაშობენ, თუმცა „დინამო“ — „ლოკომოტივი“ ამ მხრივაც განსაკუთრებული გამოდგა — არბიტრ არსენ ნონიკაშვილს ექვსი ფეხბურთელის გაფრთხილება და ერთის გაძევება მოუხდა.

...გოლების ათვლა მე-11 წუთიდან კი დავიწყეთ, მაგრამ „დინამოს“ იქამდე სამიც უნდა გაეტანა. სამივე ერთმანეთზე რეალური მომენტი იყო. ჯერ მათე ვაწაძე დარჩა მეკარესთან პირისპირ და არაფერი გამოუვიდა, წუთში მიხეილ ხუციშვილს მცველმა არ დაარტყმევინა, იქვე კი შოთა კაშიას დარტყმული ბურთი ხარიხაზე გასრიალდა.

რამდენიმე წუთში გოლების წვიმაც დაიწყო. „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ ყველა გოლზე წვრილად რომ მოვყვეთ, თანაც საგოლე შანსები ჩამოვთვალოთ, გარწმუნებთ, ამისთვის ერთი საგაზეთო გვერდი არ იკმარებს, ამიტომაც მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ „დინამოს“ მეგოლე მიხეილ ხუციშვილმა „ლოკომოტივთან“ ორი გოლი გაიტანა და ამერელმა დიმიტრი ტატანაშვილმა ბოლო ტურში თუ რაიმე არაჩვეულებრივი არ ჰქნა, დინამოელს ბომბარდირობას ვერავინ შეეცილება. ხუციშვილს გუშინ ორი-სამი გოლის გატანა კიდევ შეეძლო, მაგრამ პარტნიორებს პასები არ დაუკავა და ისინიც აზეირა, თავად კი ორი კარგი მომენტიც გაუცუდდა.

გუშინ ასევე ორი გოლი, ორივე ძალიან ლამაზი, ფეხბურთში ახლახან მობრუნებულმა რატი ალექსიძემაც გაიტანა და კიდევ ერთხელ დაარწმუნა ქომაგობა, რომ მართლაც დიდი ფეხბურთის თამაში შეეძლო. სხვათა შორის, ორიდან პირველი გოლი რატიმ ლევან ცქიტიშვილის იდეალური პასით გაიტანა, მასთან შესახვედრად კარიდან გამოსულ დიდიე ოვონოს ბურთი თავზე გადაუგდო.

საფირმო დარტყმით თავისი გოლი ვიტალი დარასელიამაც გაიტანა, მან „დინამოს“ მეკარეს დაახლოებით 30 მეტრიდან აუღებელი დაურტყა.

ასევე ორი გოლით ისახელა თავი „დინამოს“ ჭაბუკმა მეგოლე მათე ვაწაძემ. საწყისი გოლები სწორედ მის ანგარიშზეა, სამწუხარო კი ისაა, რომ მათე პირველი ტაიმის ბოლოს დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა.

და ერთიც: მატჩის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე „ლოკომოტივმა“ ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა და სწორედ იმ დროს, როცა სტუმრებს გადამწყვეტი შტურმი უნდა მიეტანათ „დინამოს“ კარზე, ირაკლი სამხარაძემ არბიტრს თავი გააგდებინა, ეჭვი გვაქვს, რომ სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის.

...რამდენიმე წუთიც მიილია და თბილისის „დინამომ“ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცისგან და პროფლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილისგან ასე ნანატრი ჩემპიონის ვერცხლისფერი თასი და ოქროს მედლები ჩაიბარა. დაჯილდოების ცერემონიაც ლამაზი გამოვიდა, პროფლიგას ამის ორგანიზება არ ეშლება, ერთი ეგაა, რომ ტრიბუნას ტრადიციულად, ქომაგი აკლდა. სავსე სტადიონზე დაჯილდოების ცერემონიასაც სხვა ელფერი აქვს.







მიხეილ ალავიძეს ჩემპიონმა ექვსი გოლი გაუტანა

# საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე. 25 ტური


ლადო ნადირაშვილმა ბურთი ცოცხალი თავით არ გაუშვა

# თასზე მოფიქრალმა ამერმა მესხეთი მეკარეს შეატოვა

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

**უგოლო** ფრის მიუხედავად, გლდანში შეკრებილ მაყურებელს ნამდვილად არ მოუწყენია, მოწყენილი მხოლოდ „ამერი" დარჩა. ამ ორი დაკარგული ქულით „ყვითლებმა" ცხრილში ერთი ადგილი დაკარგეს და, სავარაუდოდ, ბოლო ტური ველარაფერს შეცვლის — „ამერი" მეხუთე ადგილზე დარჩება.

ასევე გარანტირებული აქვს მეექვსე ადგილი „მესხეთს", რაც დებიუტანტის კვალობაზე ურიგო შედეგი არ არის. საერთოდ, ახალციხელებმა სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვეს და ბოლო ტურებში უმოტივაციობის მიუხედავად, ლიდერ-აუტსაიდერებს ბოლომდე ებრძოლნენ. სწორედ მათთან დაკარგული ქულები დაუჯდა ზოგიერთს ძვირად...

„მესხეთთან" მატჩში „ამერი" მოედანზე მოსაგებად კი გავიდა, მაგრამ მათი სული და ფიქრები სხვაგან იყო მიმართული. ალბათ მიხვდებით, ლაპარაკია საქართველოს თასის ფინალზე, რომელიც ოთხ დღეში ელის ზედიზედ ორგზის გამარჯვებულს.

ამიტომაც იყო, გიორგი ჩიხრაძემ სტრატეგიული მოსაზრებით ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი რომ დაასვენა და ამის გამო სასტარტოში მყოფ ზოგ ფეხბურთელს ამპლუის შეცვლაც მოუხდა.

შემადგენლობის როტაციის მიუხედავად, „ამერი" მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას, თუმცა მცირე ჩავარდნა მეორე ტაიმის შუაში ჰქონდა, რომელსაც მესხებმა რამდენიმე რეალური მომენტი ვერ გამოიყენეს. დანარჩენი დრო „ამერისა" იყო და სახიფათო მომენტები მრავლადაც შეიქმნა, თუმც გუშინდელ დღეს ორი გმირი ჰყავდა — გიორგი სომხიშვილი და ლადო ნადირაშვილი. განსაკუთრებით ამერელთა მეკარის თამაშია გამოსარჩევი. თუ სომხიშვილის კართან მეტი მომენტი შეიქმნა, ნადირაშვილს სტუმრები სამჯერ ისე დაემუქრნენ, ყველას გარდაუვალი გოლი ეგონა თავად ნადირაშვილის გარდა — ლადომ სამჯერვე ისეთი რეაქცია გამოავლინა, მსოფლიო კლასის მეკარეები მოაწერდნენ ხელს.

ზემოთ ვთქვით, მატჩი „ამერის" უპირატესობით წარიმართაო და მე-20 წუთამდე ოთხი კარგი მომენტიც შექმნა, აქედან სამი დიმიტრი ტატანაშვილისა იყო, რომელიც ბომბარდირთა დავაში დინამოელ მიხეილ ხუციშვილზე დაწევას ლამობდა, თუმც გუშინ ამერელის დღე არ იყო — ჯერ ლევან მერებაშვილმა აацალა ცხვირწინ ბურთი, შემდეგ მეკარემ აუღო, ბოლოს კი სომხიშვილს წამით დაასწრო, მაგრამ კარს ააცილა. ამ მომენტებს შორის ტატანაშვილმა ასისტენტობაც ითავა და სულიკო დავითაშვილი ახალციხელთა· მეკარეს პირისპირ შეჰყარა, თუმც სომხიშვილმა დროულად დატოვა კარი.

მე-20 წუთზე „ამერი" აშკარად გადარჩა: მარცხნივ კოშკაძე-რაქვიაშვილის კომბინაციის შემდეგ ზურაბ მუშკუდიანმა ახლოდან ძლიერად დაარტყა კარში და ნადირაშვილმა სასწაულებრივად გადაარჩინა გუნდი.

პასუხი ისევ ტატანაშვილისა იყო — მეკარესთან პირისპირ დარჩენილს სომხიშვილი ფეხებში ჩაუხტა და არ გაატანინა, თავდამსხმელმა ბრძოლაში ბურთი ისევ მოიგდო, ამჯერად საჯარიმოს ხაზიდან დაარტყა, მეკარემ კი კარში ჩადგომა მოასწრო.

მალევე გიორგი სომხიშვილი უკვე არჩილ ალავიძის დარტყმულს დაუხვდა...

შესვენებაზე ორივე გუნდის მწვრთნელებმა შეცვლებს მიმართეს, მაგრამ სურათი მხოლოდ ათი წუთით შეიცვალა და ისიც ტაიმის შუაში. მანამდე „ამერი" უტევდა და „მესხეთი" თავის დაცვასთან ერთად მწვავე კონტრშეტევებითაც პასუხობდა, რაც ორჯერ ისეთი საშიში გამოდგა მასპინძელთათვის, ბურთი რომ გასულიყო, სტუმრები ეგებ სამი ქულითაც წასულიყვნენ, მაგრამ თუ „ყვითლების" დაცვას ჩაეძინა, ნადირაშვილი ფხიზლობდა და ორწუთიან მონაკვეთში დავით ინასარიძესა და ალექსანდრე კოშკაძეს ახლოდან ურთულესი ბურთები აუღო.

მერე ისევ „ამერის" ჯერი დადგა. ბოლო წუთებში სულაც შტურმისმაგვარი მოაწყვეს, მაგრამ გამოსარჩევი გიორგი დეკანოსიძის საჯარიმო და ტატანაშვილის თავური ლა იყო — პირველ შემთხვევაში სომხიშვილმა მხოლოდ თვალი გააყოლა, როგორ ჩაუარა ბურთმა ძელს, მეორედ კი ნახტომში აუღო ამერელ თავდამსხმელს.

თბილისი. 11 მაისი. 17 საათი. ამერი. 500 მაყურებელი

## ამერი 0:0 მესხეთი

**ამერი:** ლ. ნადირაშვილი, დავითნიძე, დ. მჭედლიშვილი, მემარნიშვილი, ელბაქიძე, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, ა. ალავიძე (სილაგავა 46), დოლიძე (შალამბერიძე 79), დავითაშვილი (ჩიმაკაძე 61), ტატანაშვილი
*სათადარიგონი:* ქვაჩახია; მესხი, ჩიკვილაძე, რ. გოცირიძე
**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**მესხეთი:** სომხიშვილი, რაქვიაშვილი, ლ. მერებაშვილი, კობესაშვილი, თ. ღონღაძე, ლეკიშვილი, კ. ხანიშვილი (ინასარიძე 46), მ. თაყაძე, გვირჯიშვილი (სუდაძე 46), კოშკაძე, მუშკუდიანი (სამადაშვილი 65)
*სათადარიგონი:* ძამუნაშვილი; თელიაშვილი, ი. თაყაძე
**მწვრთნელი:** კობა თედიაშვილი

**გაფრთხილება:** მჭედლიშვილი (25), კოშკაძე (34), ღონღაძე (35), მემარნიშვილი (36), თაყაძე (43), ინასარიძე (79)

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი; ზ. ფიფია, ო. მოლოდინაშვილი; ზ. ასკაროლლი

**დამკვირვებელი:** ა. კაჭახიძე

# დილას პროტესტის საღამო

## უხელფასო გორელებმა პროტესტი თამაშის ჩაშლით გამოხატეს!

**ტარიელ შოთნიაშვილი გორიდან**

**მატჩი** სწრაფ ტემპში დაიწყო. „სპარტაკმა" თავიდანვე შეუტია და უკვე მე-4 წუთზე შექმნა სახიფათო მომენტი „დილას" კართან — ვახტანგ კვარაცხელია კარგად გაიხსნა საჯარიმოში, ირაკლი ძარიასგან მიიღო ზუსტი გადაცემა, მაგრამ სუსტად დაარტყა.

მასპინძლებმა მალე მოიპოვეს უპირატესობა, რაც· გიორგი ხიდაშელის აქტიურობით მოხდა. მე-20 წუთზე ხიდაშელმა დაახლოებით 20 მეტრიდან ძლიერად დაარტყა კარში, მაგრამ ბურთი პირდაპირ ხელებში მიუვიდა ბესიკ კეჩხუაშვილს. ათიოდ წუთში კვლავ ხიდაშელი გამოირჩა — დათუნაშვილმა ფლანგიდან კარგად ჩააწოდა საჯარიმოში და „სპარტაკის" მე-10 ნომერმა მაკრატელა დაარტყა, მაგრამ ოდნავ არაზუსტად.

გოლი, რომ იტყვიან, მწიფდებოდა და 35-ე წუთზე ასეც მოხდა. „სპარტაკის" შეტევებმა ნაყოფი გამოიღო — ხიდაშელმა მარჯვენა ფლანგზე მოატყუა მცველი, შეიჭრა საჯარიმოში და ზუსტად გადააწოდა მეკარის ბაქანში მყოფ კვარაცხელიას, რომელმაც დაასწრო მცველს და თავით გადაგზავნა ბურთი კარში — 1:0.

ტაიმის დარჩენილ წუთებში საინტერესო ალარაფერი მომხდარა.

მეორე ნახევარში კი... „დილა" თამაშის გასაგრძელებლად მოედანზე ალარ გამოვიდა და მატჩიც ჩაიშალა!

ოფიციალური კომენტარი ამ ამის თაობაზე არავის გაუკეთებია. კულუარული ინფორმაციით კი, „დილას" ფეხბურთელები კლუბის ხელმძღვანელობისგან უყურადღებობის გამო იძულებულნი გახდნენ, პროტესტი ასე გამოეხატათ... როგორც ითქვა, გუნდში უკვე დიდი ხანია, ხელფასები არ დარიგებულა...

გორი. 11 მაისი. 17 საათი. ძართლი. 50 მაყურებელი

## სპარტაკი — დილა შეწყდა

1:0 კვარაცხელია (35)

**სპარტაკი:** ქვილითაია, ქორიძე, ხაჭიპერაძე, ქემოკლიძე, მამუკაშვილი, დათუნაშვილი, ძარია, კუპრეიშვილი, ტყეშელაშვილი, გ. ხიდაშელი, ვ. კვარაცხელია
*სათადარიგონი:* კოდალაევი, მ. ღონღაძე, გოგოხია, თექთუმანიძე, ხიზანიშვილი, მედოევი, ზამთარაძე
**მწვრთნელი:** კობა ჟორჟიკაშვილი

**დილა:** კეჩხუაშვილი, ბალაშვილი, რატიანი, ტლაშაძე, ბალიაშვილი, ლომიძე, ი. აბრამიშვილი, ნ. ნოზაძე, მ. გაგნიძე, ვარდოსანიძე, გ. წინამძღვრიშვილი
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე, სადღაშვილი, იჩქითი, გიორგობიანი
**მწვრთნელი:** ზურაბ ხორგუაშვილი

**გაფრთხილება:** აბრამიშვილი (9)

**მსაჯები:** ო. ხეცაძე; მ. ელიკაშვილი, ზ. ჯვარიძე; ლ. სილაგავა

**დამკვირვებელი:** მ. ჭელიძე; **დელეგატი:** თ. კოსტავა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 25 | 22 | 1 | 2 | 65:18 | 67 |
| ვიტ ჯორჯია | 25 | 19 | 3 | 3 | 45:12 | 60 |
| ზესტაფონი | 25 | 17 | 5 | 3 | 53:15 | 56 |
| ოლიმპი | 25 | 15 | 4 | 6 | 25:16 | 49 |
| ამერი | 25 | 15 | 3 | 7 | 47:24 | 48 |
| მესხეთი | 25 | 10 | 6 | 9 | 27:30 | 36 |
| ბორჯომი | 25 | 9 | 4 | 12 | 30:35 | 31 |
| მგლები | 25 | 9 | 3 | 13 | 23:31 | 30 |
| სიონი | 25 | 8 | 5 | 12 | 29:35 | 29 |
| ლოკომოტივი | 25 | 6 | 6 | 13 | 23:34 | 24 |
| სპარტაკი | 24 | 4 | 8 | 12 | 12:27 | 20 |
| მერანი | 25 | 6 | 1 | 18 | 15:49 | 19 |
| ბათუმი | 25 | 4 | 4 | 17 | 15:47 | 16 |
| დილა | 24 | 1 | 5 | 18 | 12:50 | 8 |

უახლოეს დღეებში ცხინვალის „სპარტაკს" ოფიციალურად ჩაეთვლება 3:0 მოგება გორის „დილასთან"

# საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე. 25 ტური

# ევროპის თასი
## ვიტ ჯორჯიამ მგლისგან ერთ კბენას გაუძლო

მცხეთა. 11 მაისი. 17 საათი. არმაზი. 100 მაყურებელი

### ვიტ ჯორჯია 2:1 მგლები

0:1 ჯანაშია (15), 1:1 ლიპარტია (50), 2:1 სახოკია (56)

| ვიტ ჯორჯია | მგლები |
| --- | --- |
| **ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, ბეჟვაია, გ. დათუნაიშვილი, გ. მელქაძე (ყველაშვილი 78), ლიპარტია (ბერიაშვილი 87), ლუჟაშვილი (სახოკია 55) *სათადარიგონი:* მიქაბერიძე; ინჯგია, მაისაშვილი, კვალინიძე **მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე | **მგლები:** ივარდავა, გ. ქირია, ჟვანია (ხუხია 46), მაჭავარიანი, კაკაბაძე, დ. ქირია, ვართაგავა, წურწუმია, გ. ექონია (კუჭუხიძე 46), ზ. ჯანაშია (ჯიშკარიანი 66), ჭკადუა *სათადარიგონი:* ქალდანი; ქომეთიანი **მწვრთნელი:** ბესიკ შეროზია |

**მსაჯები:** გ. კიკაჩეიშვილი; კ. გაბრიაძე, ო. კაკაბაძე; გ. დოგრაშვილი

**ილია ნანობაშვილი** მცხეთიდან

**ჯაბა ლიპარტიასა** და ზაზა სახოკიას გოლებით „ვიტ ჯორჯიამ“ წაგებული პირველი ტაიმი მოატრიალა და მეორე ადგილზე, შესაბამისად, უეფას თასზე გავიდა: 4 ქულით გაუსწრო „ზესტაფონს“.

ხომ აგებდნენ და საბოლოოდაც მინიმალური ანგარიშით მოიგეს, ვიტელთა უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ ვერ ვიტყვით, გაუჭირდაო.

სახოკიამ მინდორზე შესვლიდან რამდენიმე წამში ბურთთან პირველივე შეხება გოლით დაასრულა, 56-ე წუთზე ირაკლი კლიმიაშვილის მარცხნიდან რბილად ჩაწოდებული ერთი შეხებით კარისკენ გაგზავნა, რითაც 3 ქულა დაუბევა მასპინძლებს. აშკარა იყო, „მგლები“ გამთანაბრებელი არ ჩანდა, აკი, ვერც ერთი სახიფათო მომენტი ვერ შექმნა მეორე ტაიმში.

შესვენებამდე კი ზუგდიდელებმა ერთხელ წაჩხვლიტეს მასპინძლებს და ისიც გოლად აქციეს, თუმც ამაში „ვიტ ჯორჯიას“ კაპიტანი ალექსანდრე კვახაძე დაეხმარათ: საჯარიმოში ზამირ ჯანაშიამ ბურთი აართვა, მასპინძელთა მეკარე გრიგოლ ბედიაშვილთან პირისპირ დარჩა და მართალია, პირველი დარტყმა ბედიაშვილმა მოიგერია, ისევ ჯანაშია გაჩნდა ბურთთან და სამიოდ მეტრიდან ანგარიში გახსნა — 0:1.

ეს იყო და, ნესტორ მუმლაძის გუნდი შეტევებზე გადავიდა, მანუჩარ ივარდავამ დავით ლომაიას ფეხით და თავით დარტყმულები მოიგერია, გიგა ბეჟვაიას შორიდან დაქუხებული აული, თუმც ყველაზე კარგი შანსი ვასილ ლუჟაშვილს მოუსპო: „კუმანამ“ პაატა დათუნაიშვილის ჩაწოდებულს მძლავრი თავური მიაყოლა და ივარდავამ კუთხურზე გადააგდო ბურთი.

მასპინძელთაგან განსაკუთრებით ლიპარტია გამოირჩეოდა, რომელიც უფრო შეცვლებზე ყოჩაღი თამაშითაა ცნობილი, გუშინ კი ძირითადში გახლდათ. ლიპარტიამ ორჯერ გააკეთა ლამაზი ფინტი (ბურთიანად დატრიალდა მცველებს შორის) და პირველი ცდა თუ უზუსტო პასით დაამთავრა, მეორედ პასი აღარ ინება, ეფექტური ფინტით „მგლების“ საჯარიმოში ორი მცველი ჩამოიშორა და შორეულ კუთხეში გაუტანა ივარდავას — ეს 50-ე წუთზე მოხდა და ანგარიშიც გათანაბრდა.

ლიპარტიასა და სახოკიას გოლებს შორის სულ ექვსი წუთი იყო, მაგრამ ამ პერიოდში ზუგდიდელთა საჯარიმოს იშვიათად სცილდებოდა ბურთი, ლაშა ჯაფარიძის მაკრატელაც (ააცილა) კარგი სანახავი იყო და კლიმიაშვილის შორეული დარტყმაც, ოდნავ რომ გადასცდა კარს.

მოკლედ, „ვიტ ჯორჯია“ ისტორიაში მეოთხედ გავიდა ინტერტოტოზე პრესტიჟულ ევროტურნირზე — ერთხელ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოზე იყო, უეფას თასზე კი მესამედ ითამაშებს.

# უექიმო მერანს პირველი ლიგა თუ უექიმებს

**ლევან მაისურაძე**

თბილისი. 11 მაისი. 17 საათი. მერანი. 100 მაყურებელი

### მერანი 0:1 ოლიმპი

0:1 გაბედავა (35)

| მერანი | ოლიმპი |
| --- | --- |
| **მერანი:** თევდორაძე, ბესარაშვილი, აბშილავა, გიგაური, სარალიძე (ფირანიშვილი 70), კობერიძე, ჯანგიძე, გ. ლოლაძე, ბ. ჟღენტი (ფურთუხია 80), ბაკურაძე, ვ. გოჩაშვილი *სათადარიგონი:* დგებუაძე, იაკობ დეისაძე, იაგო დეისაძე, ნაკაშიძე, გ. თავბერიძე **მწვრთნელი:** დავით ჯიბიშვილი | **ოლიმპი:** გ. ლომაია, გაბედავა, კახელიშვილი, რეხვიაშვილი, მახვილაძე, ორბელაძე, ჯოჯუა, გელაძე, ხუბუა (სებისკვერაძე 77), სილაგაძე, ომელიანოვი *სათადარიგონი:* შეყრილაძე, იმედაძე, მეტრეველი **მწვრთნელი:** ხვიჩა ქასრაშვილი |

**გაფრთხილება:** გაბედავა (44), ბაკურაძე (45), ჯანგიძე (85), ფირანიშვილი (85)

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია; ლ. მიქელაძე, ზ. მენთეშაშვილი; ვ. გუმბერიძე

**„მერანს“** მხოლოდ მოგების შემთხვევაში რჩებოდა უმაღლეს ლიგაში დარჩენის თეორიული შანსი და თამაშის დაწყებისთანავე აქცენტი შეტევაზე გააკეთა. სხვა საქმეა, რომ მონდომების მიუხედავად, სახიფათო მომენტებს ვერ ქმნიდა. თბილისელები ძალიან ცდილობდნენ, მაგრამ გიორგი ლომაიას კარს ვერაფრით ემუქრებოდნენ. ვლადიმერ გოჩაშვილი მაღალ ბურთებს კი იმორჩილებდა, მაგრამ მერე შეტევის გამგრძელებელი არ ჩანდა.

„ოლიმპი“ უფრო კონტრშეტევებზე იკბინებოდა, თუმც ტაიმის შუისკენ ცენტრსაც დაეპატრონა და რამდენიმე ხიფათის მაგვარიც გამოაცხო. 35-ე წუთზე „მერანის“ საჯარიმოს მისადგომებთან ლაშა ჯანგიძე დაჯარიმდა. გიორგი გაბედავამ დაბალი მიმართულებით ძლიერად დაარტყა. ცოცხალი კედელი რატომღაც დაიშალა და ბურთი რევაზ თევდორაძისგან მარჯვენა კუთხეში შესრიალდა — 1:0.

მეორე ტაიმი მასპინძლებმა ცოტა უფრო აქტიურად დაიწყეს და მალევე ბექა ჟღენტს გატანა მართებდა — 46-ე წუთზე ორიოდე მეტრიდან ბურთს თავი კარგად ვერ მიარტყა, ერთ წუთში გიორგი ლოლაძემაც დაარტყა სახიფათოდ და ის იყო, კაცი იფიქრებდა, „მერანი“ უკან მოუხედავად შეუტევს თამაშის გადასარჩენადო, რომ „ოლიმპი“ გამოფხიზლდა. რუსთაველები შეტევაში თავს მაინცდამაინც არ იკლავდნენ, მაგრამ საკუთარი კარის დაცვაზე ფიქრობდნენ და ეს კარგადაც გამოსდიოდათ.

თბილისელებისგან ყველაზე აქტიური ჟღენტი იყო, ვინც მეორე ტაიმში უკან დაიწია და შეტევების წამოწყებას ცდილობდა. მე-80 წუთზე ბექამ საჯარიმოში ჩაკიდებული ბურთი მიწაზე არ დაუშვა და ნახტომში ლამაზად დაარტყა, თუმც ზემოდან ააცილა. თუმცა ამ ეპიზოდში ფეხი დაეჭიმა და დახმარება სჭიროდებოდა, ოღონდ... „მერანს“ რატომღაც ექიმი არ ჰყავდა და ჟღენტთან „ოლიმპის“ ექიმი გაიქცა, ვინც მოედნის მეორე მხარეს რუსთაველ ფეხბურთელს უწევდა დახმარებას...

ბოლო წუთებზე „მერანმა“ ერთიც გაიბრძოლა და ორი ხიფათი შექმნა. ორჯერვე კაპიტანი ჯანგიძე ცდილობდა გოლის გატანას. 87-ე წუთზე მისი დარტყმული ლომაიამ კუთხურზე მოიგერია. დამატებულ დროში კი ჯანგიძე საჯარიმოში მარჯვნიდან შევიდა, უძლიერესად დაარტყა და ძელს მოარტყა ბურთი.

ამ მარცხით „მერანმა“ უმაღლეს ლიგას ხელი დაუქნია და გაისად პირველ ლიგაში მოსინჯავს ძალებს...

ბათუმი. 11 მაისი. 17 საათი. ადელი

### ბათუმი 0:0 ზესტაფონი

| ბათუმი | ზესტაფონი |
| --- | --- |
| **ბათუმი:** თოთლაძე, ლ. მახარაძე, გალოგრე, კ. მახარაძე, მაკარიანი (ზაქარეიშვილი 55), ფარტენაძე, ქებაძე, ბ. მახარაძე, დემურაძე, ბეჟანიძე (ჩაზმავა 90), კაკალაძე (ტულუში 84) *სათადარიგონი:* ბედინაძე, კაკაბაძე, სიხარულიძე **მწვრთნელი:** ავთანდილ კუნჭულია | **ზესტაფონი:** რ. კვასხვაძე, უ. ლობჟანიძე, შ. ლონლაძე, სანტოსი, რ. ონიანი, გ. ხიდეშელი (ბ. გოცირიძე 86), დაუშვილი, ვიეირა (იონანიძე 70), ნ. კვასხვაძე, გელაშვილი, ბიტოო (ს. თოდუა 81) *სათადარიგონი:* ჭანტურია, აკუასაგა, კესანი, ჟონატასი **მწვრთნელი:** თემურ მახარაძე |

**გაფრთხილება:** ფარტენაძე

**მსაჯები:** მ. ბეუქლიშვილი; ზ. ერქვანია, დ. კურტანიძე; კ. ჭაჭუა

# სავსებით ლოგიკური
## ბათუმი და ზესტაფონი უმაღლეს ლიგაზე არ ფიქრობდნენ

**სატურნირო** ცხრილში „ბათუმისა“ და „ზესტაფონის“ მდგომარეობას თუ ჩავხედავთ, გუშინდელი ფრე სენსაციადაც შეგვიძლია მოვნათლოთ. თუმცა არსებობს მიზეზთა მთელი რიგიც, რომელთა გათვალისწინებითაც, ეს 0:0 სავსებით კანონზომიერ ანგარიშად გამოჩნდება.

ამ მატჩამდე ბათუმელებს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების ოდენ თეორიული შანსი ჰქონდათ და ამ თეორისაა, დარწმუნებულები ვართ, მაინცდამაინც, არც თავად სჯეროდათ.

შესაბამისად, „ბათუმი“ თავს არ მოიკლავდა.

წინა ტურში ზესტაფონელებს მეტი ფხა რომ გამოეჩინათ და „დინამოსთვის“ ბრძოლა გაეწიათ, იცოცხლეთ, მოგების შემთხვევაში, მეორე — საუეფასთასო — ადგილი პრაქტიკულად განაღდებული ექნებოდათ. მაგრამ ზესტაფონელებმა აქცენტი იმთავითვე თასზე გადაიტანეს, თანაც „ამერისგან“ „ვიტ ჯორჯიას“ დამარცხებასაც, ალბათ, არ ელოდნენ და შედეგად ის მოიმკეს, რომ ამ ტურისთვის მეორე ადგილზე გადაბარგების შანსი პრაქტიკულად აღარ შერჩათ.

შესაბამისად, მეორეობის თეორიული შანსის დევნას, ზესტაფონელებმა თასის ფინალზე ფიქრი ამჯობინეს და ბათუმში თამაშით თავი არ მოუკლიათ.

ხოლო როდესაც მატჩის მონაწილე ორივე გუნდი სავსებით ასახსნელ მიზეზთა გამო თავს არ იკლავს, უგოლო ფრე სავსებით ლოგიკური შედეგია.

**ლუკა თალაკვაძე**

ბორჯომი. 11 მაისი. 17 საათი. ჯ. ზეინკლიშვილი

### ბორჯომი 2:5 სიონი

**მსაჯები:** ვ. ელისაბედაშვილი; გ. ჩიგოგიძე, ლ. თოდრია; ხ. გაგნიძე

*წინა „სარბიელში“ გვეწერა, რომ ბორჯომში კორესპონდენტის მივლინებას არ ვაპირებდით, რაკი მისი უსაფრთხოების გარანტიები არ გაგვაჩნდა. მატჩის წინა დღეს სპორტულ პრესაში გამოქვეყნებული ბორჯომელთა კომენტარების მერე, რწმენა, რომ კორესპონდენტის გაგზავნა მიზანშეუწონელი იყო, კიდევ უფრო განგვიმტკიცდა.*

# ბარსელონას არაბიძე მიჰყავს

**რამდენიმე** წელია, თბილისის „ლოკომოტივს“ მჭიდრო ურთიერთობა აქვს „ბარსელონასთან“.

„ბარსელონას“ „ტალანტების მოძიების პროგრამის“ ფარგლებში 8 მაისს „ლოკომოტივის“ სტადიონზე ღია ვარჯიში ჩატარდა ხუთ ასაკობრივ ჯგუფთან (1994-1998 წლებში დაბადებულები), რომელსაც ესპანელი მწვრთნელების, იაგო აგილარი და ალექს გომესი ხელმძღვანელობდნენ.

ვარჯიშის შედეგად შეირჩა 1998 წელს დაბადებული გიორგი არაბიძე, რომელიც ერთი თვით გაემგზავრება ესპანეთში.

ნორჩ ფეხბურთელს მიეცემა შესაძლებლობა, თავის ასაკობრივ ჯგუფში ივარჯიშოს „ბარსელონას“ სპორტსკოლაში.

**ქახა შალამბერიძე**

ფეხბურთის კლუბი „დილა“ სამძიმარს უცხადებს
მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის
ვიცე-პრეზიდენტ ვიტალი გრძელიშვილს
**შვილის**
ტრაგიკულად დაღუპვის გამო

საფეხბურთო კლუბი გორის „დილა“ სამძიმარს უცხადებს
„დილას“ ყოფილ ფეხბურთელს, მცხეთა-მთიანეთის
რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის
ვიცე-პრეზიდენტ ვიტალი გრძელიშვილს
**შვილის**
ტრაგიკულად დაღუპვის გამო

# ყოჩებს ყელში ჩააფლეს

**ყოჩები 11:15 ლელო**

**ყოჩები:** დადაშიანი, ინაშვილი, გრძელიშვილი, ადანაია, ნიჟარაძე; კაჭარავა, ხელაძე; ნიკოლაიშვილი, კალმახელიძე, თოთაძე, არჩუაშვილი, ხელაშვილი, შეყლაშვილი, ბრეგვაძე, ასეიშვილი
*შეცვლაზე შევიდნენ:* ყალიჩავა, კუპრეიშვილი, ელოშვილი, კიკნაველიძე
1ლ: კაჭარავა; 2ს: გრძელიშვილი, დადაშიანი
**ლელო:** ყიასაშვილი, ზაალიშვილი, მანჯავიძე, ქიზიყაშვილი, ცერცვაძე; ხმალაძე, ჭინჭარაული; კოლელიშვილი, მძინარიშვილი, მაისურაძე, იორდანიშვილი, ახალაია, მჭედლიშვილი, ცხოვრებაშვილი, სუჯაშვილი
*შეცვლაზე შევიდნენ:* ჯოგლიძე, თანდარაშვილი, კორკელია
2ლ: ცერცვაძე, ყიასაშვილი; 1გ: ჯოგლიძე; 1ს: ჯოგლიძე

**გასულ** უქმეებზე საქართველოს ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩები გაიმართა. ცენტრალურ შეხვედრაში „ლოკომოტივის" სათადარიგო მოედანზე ერთმანეთს შარშანდელი ფინალისტები „ყოჩები" და „ლელო" დაუპირისპირდნენ. შეხვედრამ მცირერიცხოვანი გულშემატკივრის მოლოდინი არ გააწბილა. ორთაბრძოლა დაძაბული და საკმაოდ სანახაობრივი გამოდგა. აქვე გეტყვით, რომ მატჩს საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბიც დაესწრო ტიმ ლეინის მეთაურობით. აშკარაა, რომ ავსტრალიელ სპეციალისტს მუშაობა არ ეზარება და გამუდმებით ეძებს მომავალ მენაკრებეებს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებში. მგონი, ამ ფაქტის გამო მორაგბეების მოტივაციაც გაიზარდა და შეხვედრებიც განსაკუთრებული კორექტურობით გამოირჩევა.

წინათ „ყოჩები" — „ლელოს" დარ დაძაბულ ორთაბრძოლაში ბარე ორი ჩხუბი მაინც უნდა ატეხილიყო, ალბათ მსაჯსაც გვარიანად შეამკობდნენ უშვერი სიტყვებით, მაგრამ ახლა მსგავსი არაფერი მომხდარა. გუნდებმა ბოლომდე იბრძოლეს და იმ დღეს უფრო ძლიერმა გაიმარჯვა.

აღსანიშნავია, რომ „ლელოს" რიგებს შეუერთდა საფრანგეთის მსოფლიოს თასის შემდეგ ნაკრებიდან წასული ილია მაისურაძე. მან ამჯერადაც ძველებური ჯიგრით იბურთავა და მისი გამოცდილება აშკარად წაადგა გამარჯვებულთ.

შეხვედრაში ორივე გუნდმა უამრავი შეცდომა დაუშვა. საწყის ათწუთეულში მხოლოდ ერთი ჯარიმა დაარტყეს და ისიც არაზუსტად. მე-15 წუთისთვის „ყოჩებმა" ზედ ლელოს ხაზიდან გადააგდეს ლელოელი თავისი ბურთიანად აუტის ხაზს გარეთ.

ანგარიში კი მე-20 წუთზე ჯარიმიდან გაიხსნა. „ყოჩების" 13 ნომერმა გრძელიშვილმა ზუსტად გაისროლა. საპასუხოდ ხუთწუთიან მონაკვეთში ვიცე-ჩემპიონებმა ორი საჯარიმო გააფუჭეს. დარტყმები ყიასაშვილს გაუცუდდა. სათქმელია, რომ გუშინ ყიასაშვილი გასაოცრად არაზუსტი იყო. არადა, გასულ სეზონში ლელოთა 15 ნომერი შესანიშნავად ჩუბინობდა. პირველ ტაიმში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. გუნდები შესვენებაზე ასეთი ანგარიშით გავიდნენ — 3:0.

მეორე ნახევარი სანახაობრივად და ორმხრივი შეტევებით დაიწყო. ჯერ იყო და გრძელიშვილმა არეკნი დაარტყა არაზუსტად, საპასუხო შეტევა „ყოჩებმა" ჩაახშეს და 49-ე წუთზე კაჭარავამ შერკინებიდან მოკლე ფრთაზე ბურთით მოწინაალმდეგის ლელოს უწია — 8:0. გარდასახვა ვერ გამოიყენა გრძელიშვილმა. მეორე ტაიმის შუაწელში „ლელო" გონს მოეგო და გავეშებით მიეძალა მეტოქეს. ერთ-ერთი მრავალფაზიანი შეტევა, რომელიც უფრო რაქების ხარჯზე მიმდინარეობდა, ყიასაშვილმა ლელოდ აქცია. მას გარდასახვაც რომ გამოეყენებინა, ანგარიშს მინიმუმამდე შეამცირებდა. „ყოჩებმა" კი საბოლოოდ მეორე ნახევრის ოცდამეათე წუთისთვის გაისროლეს, საჯარიმოთი დადაშიანმა ივარგა — 11:5. მალევე „ლელომ" თვალსასეირო კომბინაცია ჩაათამაშა. ცერცვაძის ლელო, შეიძლება, ტურში ულამაზესიც კი გამოდგა. შეცვლაზე შესულმა ჯოგლიძემ ყიასაშვილის საქმეს მოჰკიდა ხელი და ზუსტი გარდასახვით თანაგუნდელები დააწინაურა — 12:11. იმავე ჯოგლიძემ მატჩის დასასრულს ერთი საჯარიმოც გაიტანა და საბოლოო ანგარიშს მოუყარა თავი — 15:12. შეხვედრის ბოლო წუთზე „ყოჩებმა" სალელლოვე შეტევა ლელოს ხაზთან წინ გავარდნილ ბურთს გაატანეს და მსაჯმაც საფინალოდ ჩასტვინა.

**ზურაბ მიგრიაული**

**აკადემია 26:17 არმაზი**

**აია 13:13 თსუ**

**დინამო 12:31 ლოკომოტივი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 2 | 0 | 0 | 67:27 | 4 |
| ლელო | 2 | 0 | 0 | 37:30 | 4 |
| თსუ | 1 | 1 | 0 | 26:21 | 3 |
| ყოჩები | 1 | 0 | 1 | 35:25 | 2 |
| აკადემია | 1 | 0 | 1 | 36:41 | 2 |
| აია | 0 | 1 | 1 | 28:49 | 1 |
| არმაზი | 0 | 0 | 2 | 25:39 | 0 |
| დინამო | 0 | 0 | 2 | 31:53 | 0 |



# ესპანეთმა მეზობელი დააქვეითა

**ერთა** თასის ჩემპიონი ორი კვირის წინ გაირკვა, როცა საქართველოს ნაკრებმა თბილისში, ესპანეთთან ლამის წაგებული მატჩი შემოატრიალა და 2007-08 წლების ერთა თასის მომგებისთვის განკუთვნილი ფარი, პირადად ევროპის რაგბის ასოციაციის პრეზიდენტისგან ჟან-კლოდ ბაკესგან ჩაიბარა.

გასარკვევი მხოლოდ მეოთხე ადგილის მფლობელის ვინაობა იყო, რომელიც ამ შაბათს მადრიდში გამოვლინდა. ტურნირის ბოლო მატჩში ჩვენგან ძლეულმა ესპანეთმა მეზობელი პორტუგალია ისტუმრა, დაძაბულ მატჩში 21:17 მოუგო და ორწლიანი ჯამური მონაგრით ოთხი მოგება მოუგროვდა. ისე, ეს მატჩი არც არაფერს წყვეტდა, უბრალოდ, მეზობლებს ერთმანეთში პრინციპული დაპირისპირება აქვთ და ამჯერად გამარჯვება ესპანეთს დარჩა.

ერთიც, ერთა თასიდან გავარდა მანჩანჩალა ჩეხეთი, რომლის ადგილს გაისად ქვედა დივიზიონის მოგები გერმანია დაიკავებს. სხვათა შორის, 2009-2010 წლებს ერთა თასის ჩემპიონი 2011 წლის მსოფლიოს თასზე შესარჩევების გარეშე მოხვდება.

**ერთა თასი 2007-08**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 10 | 9 | 0 | 1 | +178 | 18 |
| რუსეთი | 10 | 8 | 0 | 2 | +165 | 16 |
| რუმინეთი | 10 | 6 | 0 | 4 | +133 | 12 |
| ესპანეთი | 10 | 4 | 0 | 6 | -7 | 8 |
| პორტუგალია | 10 | 3 | 0 | 7 | -22 | 6 |
| ჩეხეთი | 10 | 0 | 0 | 10 | -447 | 0 |



# NBA პლეი ოფი. მეორე წრე

9 მაისი

**დასავლეთი**

**ლეიკერსი 2:1 იუტა**

**იუტა 104:99 ლეიკერსი**

**იუტა:** ბუზერი (27 ქულა, 20 მოხსნა), ოქური (22), უილიამსი (18 ქულა, 12 პასი), კირილენკო (12), ჰარპრინგი (12)
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (34), ოდომი (13 ქულა, 12 მოხსნა), ფიშერი (13), გასოლი (12), უოლტონი (11)

10 მაისი

**აღმოსავლეთი**

**დეტროიტი 3:1 ორლანდო**

**ორლანდო 89:90 დეტროიტი**

**ორლანდო:** თურქოღლუ (20), ნელსონი (15), ლუისი (15), ევანსი (15), ჰოვარდი (8 ქულა, 12 მოხსნა)
**დეტროიტი:** ჰამილტონი (32), პრინსი (17), ვოლესი (16), მაკდაისი (8 ქულა, 14 მოხსნა)

**ბოსტონი 2:1 კლივლენდი**

**კლივლენდი 108:84 ბოსტონი**

**კლივლენდი:** ჯეიმსი (21), ვესტი (21), სმიტი (17), შჩერბიაკი (16), ილგაუსკასი (12)
**ბოსტონი:** გარნეტი (17), პირსი (14), პერკინსი (12), პოუზი (11), ალენი (10)



# უსეტო და უიმედო

**საქართველოს** ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევის პირველ ეტაპზე ჩერნოგორიაში იქაურ ნაკრებთან უშანსოდ წაგების — 9:25 19:25, 15:25 შემდეგ, საპასუხო თამაშშიც ვერაფერი მოუხერხა მეტოქეს და სპორტის სასახლეშიც სამივე სეტი წააგო. პირველ სეტში 25:17 მოგების შემდეგ ჩერნოგორიელებმა ჯგუფში გასვლა გაინაღდეს და ცოტა მოეშვნენ, თუმც მომდევნო ორ სეტშიც არ გასჭირვებიათ გამარჯვება 25:21, 26:24.

**ლექსო მაისურაძე**



# დიასამიძის ბოლო შანსი

**დღეიდან** საქართველოს ქალ მშვილდოსანთა ნაკრები საფრანგეთში ევროპის ჩემპიონატზე გამოვა. ჩვენებიდან სამი მშვილდოსანი მოჭიმავს მშვილდს — ქრისტინე ესებუა, ხათუნა ნარიმანიძე და ასმათ დიასამიძე. ეს ტურნირი იმდაც საინტერესოა, რომ ბოლო სალიცენზიო შანსია მშვილდოსანთათვის და ნარიმანიძისა და ესებუას დარად, დიასამიძეც ესცდება ჩინეთის საგზურის მოპოვებას.

**ლექსო მაისურაძე**



# ეროვნულმა პატარა მძლეოსნებს უმასპინძლა

**10 მაისს** ეროვნულმა სტადიონმა მსოფლიოს მძლეოსნობის დღისადმი მიძღვნილ ტურნირს უმასპინძლა. შეჯიბრი 9 მაისს უნდა ჩატარებულიყო, თუმცა უამინდობამ მძლეოსნები ერთი დღით შეაფერხა. 21 რაიონიდან ჩამოსულმა ახალგაზრდებმა კი რამდენიმე სახეობაში გამოავლინეს საუკეთესოები.

**ლექსო მაისურაძე**

**გოგონები**

| | |
|---|---|
| 80 მეტრი: თათია პაიკიძე (ვანი) | 11,1 |
| 100 მეტრი: თამუნა აფშილავა (გორი) | 12,7 |
| 100 მეტრი: თარჯრბენი მაიკო გოგოლაძე (თბილისი) | 15,5 |
| 200 მეტრი: თარჯრბენი ოლისია ბონდარენკო (თბილისი) | 26,6 |
| 400 მეტრი: თარჯრბენი ირინა ლაზავა (გორი) | 1. 07.0 |
| 800 მეტრი: თარჯრბენი გაიანე უსტიანი (ახალციხე) | 2.17.7 |
| 1500 მეტრი: თარჯრბენი თინათინ ტატუაშვილი (ბორჯომი) | 4.58.6 |
| 3000 მეტრი: თარჯრბენი სოფო ჩოჩიაძე (ბორჯომი) | 12.17.9 |
| სიგრძეზე ხტომა: ნანა კაშია (ქუთაისი) | 5.38 |
| სამხტომი: ქრისტინე შალამბერიძე (ქუთაისი) | 11.80 |
| ბირთვის კვრა: ანა კაშია (ქუთაისი) | 10,35 |
| შუბის ტყორცნა: თაკო თოდუა (თბილისი) | 31,46 |

**ჭაბუკები**

| | |
|---|---|
| 80 მეტრი: გოჩა დინგაშვილი (ქუთაისი) | 9,4 |
| 100 მეტრი: ბაჩანა ხორავა (ზუგდიდი) | 12,2 |
| 200 მეტრი: თარჯრბენი ბაჩანა ხორავა (ზუგდიდი) | 2383 |
| 400 მეტრი: თარჯრბენი შოთა იმედაძე (თბილისი) | 1.07.0 |
| 800 მეტრი: თარჯრბენი ანდრეი მარტინიანი (ახალციხე) | 2.02.2 |
| 1500 მეტრი: თარჯრბენი ანდრეი მარტინიანი (ახალციხე) | 4.13.1 |
| 3000 მეტრი: თარჯრბენი გიორგი ხარჩილაძე (ახალციხე) | 10.01.5 |
| სიგრძეზე ხტომა: გიორგი ლულელაური (თიანეთი) | 6.61 |
| სამხტომი: გიორგი ლუდელაური (თიანეთი) | 14,16 |
| ბირთვის კვრა: უჩა ადუაშვილი (თიანეთი) | 13.25 |
| შუბის ტყორცნა: უჩა ადუაშვილი (თიანეთი) | 39.58 |
| ბადროს ტყორცნა: უჩა ადუაშვილი (თიანეთი) | 34.65 |

ჭიდაობა

# კვირკველიას ლიცენზია



**რომში** ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა სალიცენზიო ტურნირი დასრულდა. შაბათს ჩვენებისგან მუხრან მაჭუტაძემ (66კგ) იჭიდავა და ულიცენზიოდ დარჩა. მან პირველივე შეხვედრა ხორვატ დანიელ იანეჩიჩთან დათმო. თავის მხრივ ისიც მეოთხედფინალში დამარცხდა და მაჭუტაძეს რეპეშაჟში ჩაბმის შანსი არ დაუტოვა.

კვირას მანუჩარ კვირკველიამ ლიცენზია აიღო. კანადელი კოლინ დაინესს 6:0, 6:0 გადაურბინა მერე კი გამოცდილი რუსი ვალტერ სამურგაშევი 5:0, 0:6, 2:1 დაამარცხა და ფინალში გავიდა, რაც უკვე ლიცენზიას ნიშნავდა. იქ კვირკველიას მეტოქე აზერბაიჯანელი ილგარ აბდულოვი იყო და ქართველმა ფალავანმა 5:4, 3:0 დაამარცხა.

მძიმე წონაში გამომსვლელმა რევაზ ჭელიძემ ყირგიზ მურადჯან ტუიჩიევს კი აჯობა, 2:0, 3:0, მაგრამ მერე თავად წააგო უკრაინელთან, რომელმაც მეოთხედფინალში წაიფორხილა და ჭელიძეს დამამშვიდებელში ჭიდაობა არ აცალა.

66 და 120 კილოგრამში ჩვენები პეკინის საგზურის მოპოვებას უკანასკნელ სალიცენზიო ტურნირზე, სერბულ ნოვი სადში შეეცდებიან.

**ლექსო მაისურაძე**

ხელბურთი

# ქართველი მაკედონიის ჩემპიონია

**რევაზ ჭანტურია** მაკედონიის ხელბურთელთა ჩემპიონატის გამარჯვებულია. ჩვენებურის „მეტალურგმა" იქაური პირველობის ბოლოსწინა ტურში „პრესპას" 41:26 მოუგო, 74 ქულა დააგროვა და მდევართათვის მიუწვდომელი გახდა.

ჭანტურიამ საჩემპიონო თამაშში 6 გოლი გაიტანა, მისი გუნდი კი, ჩემპიონობით გახარებული, ახლა მეორე ტიტულისკენ გაიწევს — „მეტალურგი" 18 მაისს მაკედონიის თასის ფინალში თანაქალაქელ მთავარმეტოქე „ვარდარს" დაეჯახება და გამარჯვების შემთხვევაში, სრულ რევანშს აიღებს, რაკილა შარშან „ვარდარმა" ორივე ტიტული ცხვირწინ აალა.

აქვე მეორე ლეგიონერზეც ვთქვათ — სერგო დათუკაშვილის გერმანულმა „ლიუბეკემ" შინ კონკურენტ „მინდენს" 33:27 მოუგო და გასავარდნ ზონას ცოტათი დასცილდა. თუ „ლიუბეკე" მე-16 ადგილს შეინარჩუნებს, მაშინ ბუნდესლიგაში დასარჩენად პლეი ოფში თამაში მოუწევს.

**ლექსო მაისურაძე**

წყალბურთი

# უკრაინულ წყალში ვერცხლი მოჩანს

**საქართველოს** წყალბურთელთა ნაკრები უკრაინის ღია პირველობის მორიგი ტურიდან დაბრუნდა — ჩვენებმა სამი თამაში ითამაშეს და ოდენ ერთი მოიგეს, დნეპროპეტროვსკის გუნდი იოლად 10:4 დაჩაგრეს. მერე ჯერ გათამაშების ლიდერ „მარიუპოლ 1"-თან წააგეს 8:12, ბოლოს კი ბელარუსის ნაკრებთან — 10:14.

— პირველი თამაში იოლად მოვიგეთ. „მარიუპოლი 1"-თან კი ვერას გავხდით, თან ლეგიონერებიც თითქმის არ გვყავდა. ბელარუსთან მართლა არ უნდა წაგვეგო, ბიჭები გულისყურით ვერ მიუდგნენ საქმეს და დავისაჯეთ.

დასკვნით ტურში, რომელიც 12 ივნისს იწყება, მთავარ კონკურენტებს „ხარკოვს", „სევასტოპოლს" და ყაზახეთის ნაკრებს ვეთამაშებით და იმის გათვალისწინებით, რომ მეორე და მესამე ადგილოსნებს, შესაბამისად 2 და 1 ქულით ჩამოვრჩებით, ვერცხლის მედლისთვის ბრძოლის იმედი გვაქვს — მთავარია, ლეგიონერთა ჩამოყვანა მოვახერხოთ — გვითხრა ნაკრების თავკაცმა *სოსო მაისურაძემ.*

**ლექსო მაისურაძე**

ჩოგბურთი

# ანა იანინას ვერ გადაახტა

**18 წლის** ქართველმა ჩოგბურთელმა ანა ტატიშვილმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფლორიდული ინდიან ჰარბორ ბიჩის 50-ათასიან ტურნირზე მეოთხედფინალიც გაიარა და ნახევარფინალში კი მე-2 ნომრად განთესილ ბელარუს იანინა ვიკმაიერთან წააგო.

მეოთხედფინალში ანამ 7:5 6:1 სძლია რეიტინგში 719-ე ადგილზე მყოფ ამერიკელ კრისტინა მაიკლს, შემდეგ კი ვეღარას გახდა კლასიფიკაციის 120-ე ნომერ ბელარუსთან — 2:6 0:6.

ინდოეთის ქალაქ თრივანდრუმში კი 10-ათასიანი შეჯიბრი დასრულდა. წინა ინდურ ტურნირზე კვალიფიკაციიდან ფინალამდე მისულმა მაგდა ოქრუაშვილმა ამჯერად თამაში ძირითად ბადეში დაიწყო და ამერიკელ ალექსანდრა რილეის 6:1 6:1 აჯობა კიდეც, თუმც შემდეგ სამ სეტში — 3:6 6:0 4:6 წააგო მესამე ნომრად განთესილ მასპინძელთან, სანაა ბჰამბრისთან.

### კაცები

მასტერსი. რომი. იტალია. თიხნარი. საპრიზო 2 270 000 ევრო

**მეოთხედფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) 6:1 1:0 უარი; **ენდი როდიკი** (6, აშშ) — ტომი რობრედო (14, ესპანეთი) 6:3 4:6 7:6

**ნახევარფინალი**

**ჯოკოვიჩი** — რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი) 6:0 1:0 უარი; **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია) — როდიკი 3:0 უარი

**ფინალი**

**ჯოკოვიჩი** — ვავრინკა 4:6 6:3 6:3

### ქალები

ბერლინი. გერმანია. თიხნარი. საპრიზო 1 340 000 $

**მეოთხედფინალი**

**ანა ივანოვიჩი** (2, სერბეთი) — აგნეს სუავაი (10, უნგრეთი) 3:6 6:4 6:3

**ნახევარფინალი**

**ელენა დემენტიევა** (7, რუსეთი) — ივანოვიჩი 6:2 7:5; **დინარა საფინა** (13, რუსეთი) — ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) 6:4 6:1

**ფინალი**

**საფინა** — დემენტიევა 3:6 6:2 6:2



ნოვაკ ჯოკოვიჩი

ჭადრაკი

## M-TEL მასტერსი

სოფია. ბულგარეთი. 7-18 მაისი

**II ტური**

| | | |
|---|---|---|
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 0:1 | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) |
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 0,5:0,5 | ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი) |
| ბუ ქსიანცჟი (ჩინეთი) | 0,5:0,5 | თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) |

**III ტური**

| | | |
|---|---|---|
| ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი) | 0:1 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |
| ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 1:0 | ბუ ქსიანცჟი (ჩინეთი) |
| თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |

# დანაილოვმა მოჭადრაკეები კუბში გამოკეტა

**მოჭადრაკეებს** სოფიაში ცოტა უცნაურ გარემოში უწევთ ასპარეზობა.

ტურნირის ორგანიზატორმა სილვიო დანაილოვმა საკონფერენციო დარბაზში დიდი მინის კუბი დაადგმევინა, იქ კი სამი მაგიდა, ექვსი სკამი შეატანინა და მოჭადრაკეებიც შიგნით გამოკეტა. ასე რომ დიდოსტატებს ჩაკეტილ გარემოში უწევთ თამაში და მსაჯის დაუკითხავად გამოსვლა არ შეუძლიათ. ჟურნალისტების კითხვაზე, ვაი თუ რომელიმეს კლაუსტროფობია ჭირდესო? სილვიომ უპასუხა: „ვისაც ჩვენი კუბი არ მოსწონს, შეუძლია წავიდეს".

სამი ტურის შემდეგ ცხრილს ვასილ ივანჩუკი ლიდერობს. უკრაინელმა სამივე პარტია მოიგო და მდევარს ერთი ქულით უსწრებს. მდევარი კი ვესელინ ტოპალოვია, ვისაც ივანჩუკმა შავებით მოუგო.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვასილ ივანჩუკი | 3 |
| 2. | ვესელინ ტოპალოვი | 2 |
| 3. | ივან ჩეპარინოვი | 1,5 |
| 4. | ლევონ არონიანი | 1 |
| 5. | თეიმურ რაჯაბოვი | 1 |
| 6. | ბუ ქსიანცჟი | 0,5 |



ვასილი ივანჩუკი და ვესელინ ტოპალოვი

ჰოკეი

## პლეი ოფი ნახევარფინალი

### აღმოსავლეთი

**პიტსბურგი 4:2 ფილადელფია**

3:2 1:0 0:0

*სერია პიტსბურგს მიჰყავს 1:0*

1:0 სიკორა (7, მელოუნი, მალკინი), 1:1 რიჩარდსი (9, ამბერგერი, კობერნი), 1:2 რიჩარდსი (13, ლუპული, ამბერგერი), 2:2 კროსბი (15, ჰოსა), 3:2 მალკინი (20, უიტნი), 4:2 მალკინი (25, უმც. გონჩარი)

### დასავლეთი

**დეტროიტი 2:1 დალასი**

2:1 0:0 0:0

*სერია დალასს მიჰყავს 2:0*

1:0 ჰელმი (6), 1:1 რობიდა (11, უმრ. რიბეირო მოროუ), 2:1 ზეტერბერგი (16, უმრ. დაციუკი, ჰოლმსტრომი)

**მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰალიფაქსი, კვებეკი. კანადა. 2-18 მაისი**

### II ჯგუფური ეტაპი

**E ჯგუფი**

**რუსეთი 4:3 ბელარუსი**

0:2 1:0 2:1 0:0 (1:0 ბულიტებით)

0:1 მიხალევი (8), 0:2 დუდიკი (12), 1:2 აფინოგენოვი (24), 2:2 ოვეჩკინი (48), 3:2 აფინოგენოვი (54), 3:3 უგაროვი (57)

**რუსეთი 3:2 შვედეთი**

0:1 1:1 2:0

0:1 ვეინჰანდლი (8), 1:1 სიომინი (33), 1:2 მორტენსონი (40), 2:2 ფიოდოროვი (45), 3:2 ოვეჩკინი (60)

**ჩეხეთი 3:2 ბელარუსი**

0:1 1:0 1:1 0:0 (1:0 ბულიტებით)

0:1 ჩუპრისი (19), 1:1 როლინეკი (37), 1:2 ა. კოსტიცინი (50), 2:2 კოტალიკი (54)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 16:10 | 10 |
| ჩეხეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 17:9 | 9 |
| შვეიცარია | 2 | 0 | 0 | 1 | 6:8 | 6 |
| შვედეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 18:13 | 6 |
| ბელარუსი | 0 | 0 | 2 | 2 | 11:15 | 2 |
| დანია | 0 | 0 | 0 | 3 | 4:17 | 0 |

**F ჯგუფი**

**გერმანია 1:10 კანადა**

0:4 0:5 1:1

0:1 სპეცა (6), 0:2 ჰიტლი (14), 0:3 სტაალი (17), 0:4 შარპი (20), 0:5 სტაალი (24), 0:6 სტაალი (29), 0:7 როი (33), 0:8 სტაალი (36), 0:9 მაიერსი (39), 0:10 გრინი (42), 1:10 ჰორდლერი (49)

**ფინეთი 2:1 ლატვია**

0:1 1:0 1:0

0:1 დარზინში (2), 1:1 პილსტრომი (30), 2:1 კაპანენი (51)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კანადა | 4 | 0 | 0 | 0 | 24:6 | 12 |
| ფინეთი | 2 | 1 | 0 | 0 | 10:4 | 8 |
| აშშ | 2 | 0 | 0 | 1 | 14:9 | 6 |
| ნორვეგია | 1 | 0 | 1 | 1 | 6:7 | 4 |
| ლატვია | 0 | 0 | 0 | 3 | 1:13 | 0 |
| გერმანია | 0 | 0 | 0 | 4 | 8:24 | 0 |

**შენიშვნა:** *I გრაფა — მოგება ძირითად დროში; II გრაფა — მოგება ოვერტაიმში; III გრაფა — წაგება ოვერტაიმში; IV გრაფა — წაგება ძირითად დროში; V გრაფა — შაიბების სხვაობა; VI გრაფა — ქულები*

*გუნდებს გადმოყოლილი აქვთ პირველ ჯგუფურ ეტაპზე ურთიერთშეხვედრებში დაგროვილი ქულები*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მასა დიადების კომპანიაში ბარიკელომ პატრეზე დაამხო



რუბენს ბარიკელო

**წლევანდელი** საპირველფორმულო ჩემპიონატის მეხუთე ეტაპს, თურქეთის დიდ პრიზს, რომელიც გუშინ „ისტანბულ პარკის" ავტოდრომზე ჩატარდა, დაწყებამდე ჰყავდა ერთი უმთავრესი გმირი — თურქული ეტაპი „ჰონდას" ბრაზილიელი პილოტის რუბენს ბარიკელოს კარიერაში 257-ე იყო და ეს აბსოლუტური რეკორდი გახლავთ. 35 წლის ბრაზილიელმა დაამხო იტალიელი რიკარდო პატრეზეს 1993 წლით დათარიღებული ძველი მიღწევა, რომელიც თითქოს მუდმივი იყო, მაგრამ, მართლაც, რომ არაფერია აქვეყნად მუდმივი და პატრეზეს შედეგსაც გამოუჩნდა მჯობნი.

სიმბოლურია, რომ ბარიკელო სწორედ იმ წელს გამოჩნდა სამეფო რბოლებში, რა წელსაც პატრეზემ რბოლას თავი დაანება — ბრაზილიელის კარიერა 1993 წლიდან დაიწყო და ოთხი სეზონი ის „ჯორდანის" ღირსებას იცავდა. შემეგ იყო „სტიუარტში" გატარებული სამი წელი და 2000-05 წლებში კი ბარიკელო „ფერარის" ალისფერ ბოლიდებს დააქროლებდა, რის შემდეგაც, ანუ 2006 წლიდან დღემდე, „ჰონდას" სახელით გამოდის.

